ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 165

“15” აპრილი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ. 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 127² მუხლის, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 8 აპრიილის №25.587.667 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში, ამ განკარგულების დანართით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი

შეთანხმება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი **——— / ——————— / 2025 წ.**

წინამდებარე შეთანხმება დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

(1) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, წარმოდგენილი [●] მიერ,
(2) შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ (ს/ნ: 404391136), წარმოდგენილი [●] მიერ

(შემდგომში ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“)

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა (შემდგომში: სააგენტო) და შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს (შემდგომში „ქონების შემძენი“, ს/ნ: 404391136) შორის 2024 წლის 19 აპრილს გაფორმდა „უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება (შემდგომში: ხელშეკრულება) და 2024 წლის 17 ოქტომბრის შეთანხმება.

ვინაიდან, ხელშეკრულების საფუძველზე, ქონების შემძენს გადაეცა ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა №21-ში მდებარე 2 402 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.13.01.004.151), ხოლო სანაცვლოდ მუნიციპალიტეტმა მიიღო გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე (ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ) არსებული 234 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: №01.15.03.004.084).

ვინაიდან, ხელშეკრულების 4.3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი არ არის ვალდებული, ქონების შემძენს გადაუხადოს №01.13.01.004.151 და №01.15.03.004.084 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებების ფასთა შორის არსებული სხვაობა 225 846 (ორას ოცდახუთი ათას რვაას ორმოცდაექვსი) ლარის ოდენობით (შემდგომში: ფასთა შორის სხვაობა), ამასთან, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში ითანამშრომლებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შესაბამისი უძრავი ქონების მოძიებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასთვის“ მისი საკუთრების ან სარგებლობის უფლებით (შესაბამისი ფორმით) გადაცემის მიზნით, ფასთა შორის სხვაობის შესაბამისი ქონების საბაზრო საპრივატიზებო ან/და სარგებლობის საფასურის (შესაბამისად) ანგარიშში ჩათვლის პირობით.

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 2 ოქტომბრის N24.1668.1888 განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 4 ოქტომბრის N527 განკარგულების საფუძველზე 2024 წლის 17 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმებით ერთხელ უკვე გახანგრძლივებულ იქნა ხელშეკრულების ვადა 12 (თორმეტი) თვემდე და მხარეებს შორის

მიმდინარეობს ინტენსიური მოლაპარაკებები, ამ ეტაპზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული გრძელდება შესაბამისი მიწის ნაკვეთის მოძიების/შეთავაზების პროცესი.

ვინაიდან, ხელშეკრულების 4.3 პუნქტით დადგენილ 12 (თორმეტი) თვიან ვადაში ვერ ხერხდება მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევა და ქონების შემძენი სააგენტოში წარდგენილი 2025 წლის 24 მარტის №10/01250833547-61 განცხადებით ითხოვს აღნიშნული ვადის 18 (თვრამეტ) თვემდე გაზრდას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის [●] განკარგულებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის [●] განკარგულების შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან დადონ წინამდებარე შეთანხმება:

1. შევიდეს ცვლილება ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების 4.3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „4.3 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი არ არის ვალდებული, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ გადაუხადოს №01.13.01.004.151 და №01.15.03.004.084 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული უძრავი ქონებების ფასთა შორის არსებული სხვაობა 225 846 (ორას ოცდახუთი ათას რვაას ორმოცდაექვსი) ლარის ოდენობით (შემდგომში - „ფასთა შორის სხვაობა“), ამასთან, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 (თვრამეტი) თვის განმავლობაში ითანამშრომლებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შესაბამისი უძრავი ქონების მოძიებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასთვის“ მისი საკუთრების ან სარგებლობის უფლებით (შესაბამისი ფორმით) გადაცემის მიზნით, ფასთა შორის სხვაობის შესაბამისი ქონების საბაზრო საპრივატიზებო ან/და სარგებლობის საფასურის (შესაბამისად) ანგარიშში ჩათვლის პირობით.“
2. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.
3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ექვემდებარება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას, წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.
4. წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოების მიერ.
5. შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

[●]

_____

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“

[●]

_____